განმარტებითი ბარათი

„თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მომზადების მიზეზია განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ასამოქმედებლ ცვლილებებთან აღნიშნული კანონის ნორმათა შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

პროექტის თანახმად:

- თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის სამართლებრივი აქტებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, მთავრობა ან პრეზიდენტი;
- „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს” დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.
- „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია”-ს დამტკიცების უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს მთავრობას, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა

მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ განსაზღვრავს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შენუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი.